ПРОЛЕТАРЕБО ДА ГАДАГЕБА ДЕДАМИЦА, ШЕЕРТОДИТ!

ЛЕЛО

№ 15 (4009) 22

1970 წ. იანვარი. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

სსრ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

● **ᲕᲔᲘᲯ-ᲐᲜ-ᲖᲔ**, 20 იანვარი. ჰოლანდიის ამ პატარა ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 6 ტურის შემდეგ დაწინაურდა ლენინგრადელი დიდოსტატი ტაიმანოვი. ბოლო გამარჯვებას ტაიმანოვმა ცხობილ ამერიკელ დიდოსტატთან ბენკოსთან მიაღწია და ახლა 5 ქულა აქვს. შეჯიბრების მეორე საბჭოთა მონაწილემ, დიდოსტატმა პლატონოვმა VI ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ფინელ ვესტერინენთან. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ივკოვი (იუგოსლავია) და ვესტერინენი.

● **ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ**, 20 იანვარი. ადგილობრივი „კოლიზეუმის“ დარბაზში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ამერიკელმა ო. ბარელმა — 216 სმ. ჭოკით ხტომაში გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა ბ. სიგრენმა (აშშ) — 519,5 სმ, ხოლო მესამე ამერიკელი — დ. ჰორნი უძლიერესი იყო სიგრძეზე ხტომაში — 766,5 სმ.

● **ᲨᲐᲛᲝᲜᲘ**, 20 იანვარი. 3 ქვეყნის — საფრანგეთის, შვეიცარიისა და იტალიის ტრამპლინებზე „მფრინავ მოთხილამურეთა“ აქ დაწყებული შეჯიბრება იღბლიანი გამოდგა ოლიმპიური ჩემპიონის ი. რაშკასთვის (ჩეხოსლოვაკია). იგი 83,5 და 89 მეტრზე გადახტა, 222,3 ქულა დააგროვა და თვალსაჩინოდ გაუსწრო II ადგილზე გასულ თანამემამულე რ. ჰენლს (85 და 87 მ, 215 ქულა). შეჯიბრების პირველი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ჩეხოსლოვაკიელები.

● **ᲖᲐᲙᲝᲠᲯᲐᲜᲔ**, 20 იანვარი. „დიდი კროკეების“ ტრამპლინზე გამართულმა საერთაშორისო შეჯიბრებამ უამრავი მაყურებელი მიიზიდა. პოლონელები განსაკუთრებით გაახარა თავიანთი თანამემამულე „მფრინავი მოთხილამურის“, 24 წლის ტ. პავლიუსიაკის გამარჯვებამ. მან 230,8 ქულა მოაგროვა (ნახტომები — 100,5 და 99,5 მ).

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 20 იანვარი. ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲝᲛᲔ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲓᲐ ᲐᲮ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲙᲔᲨᲘᲡᲬᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

● **ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ**, 20 იანვარი. ფინეთის სათხილამურო სპორტის ასოციაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა იმ გუნდის შემადგენლობის დიდი ნაწილი, რომელიც თებერვალში მაღალ ტატრებში (ჩეხოსლოვაკია) მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს. ესენი არიან: მრბოლელი ვაჟები — კ. ლაურილა, კ. ოიკარაინენი, ჰ. ტაიპალე, რ. ლეჰტინენი, ო. კარიალაინენი, მრბოლელი ქალები — მ. კაიოსმაა, მ. მუტილაინენი, ს. პუსულა, ჰ. ტაკალო, „მფრინავი მოთხილამურეები“ — ტ. მატილა, ი. რუოტსალაინენი, ტ. კაიჰკოე, ორჭიდელები — ე. კილპინენი და რ. მიეტინენი.

● **ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲐ**, 20 იანვარი. აქ გათამაშდა სსრ კავშირის თასი სათხილამურო ორჭიდში. გაიმარჯვა ი. კოზულინმა (კიროვი) — 412,1 ქულა. II ადგილზეა ნ. ნოგოვიცინი (კემეროვო) — 402,4, III — ვ. დრიაგინი (გორკი) — 398,7. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ლენინგრადელებმა.

● **ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ**, 20 იანვარი. ადგილობრივი ზამთრის სტადიონის ტრადიციული პრიზი ნევისპირელმა მძლეოსნებმა მეოცედ გაითამაშეს. 250 მეტრზე თარჯრბენში ახალი საკავშირო მიღწევა დაამყარა 18 წლის დ. სტუკალოვმა („ბურევესტნიკი“) — 31,4 წამი. კარგად იასპარეზა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, 20 წლის ტ. პოლუბოიაროვამაც: მან დახურული შენობებისთვის სსრ კავშირის ახალი მიღწევა დაამყარა 200 მეტრზე თარჯრბენში — 28,5.

● **ᲘᲜᲪᲔᲚᲘ**, 20 იანვარი. ვფრ-ისა და ჰოლანდიის მოციგურავე ვაჟთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა ჰოლანდიელმა ი. ბოლსმა, რომელმაც მცირე მრავალჭიდში ქულათა საუკეთესო ჯამი (170,277) დააგროვა მსოფლიოში. 3000 მეტრზე რბენაში ბოლსის შედეგი (4.16,99) სჯობს ნორვეგიელი დ. ფორნესის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს (4.17,4), მაგრამ არც ეს შედეგი მოხვდება მსოფლიო რეკორდების ცხრილში, ვინაიდან ეს შეჯიბრება მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის (ისუ) კალენდრით გათვალისწინებული არ იყო. ამავე დროს, მცირე მრავალჭიდში ისუ რეკორდებს საერთოდ არ აღნუსხავს.

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲗᲔᲣᲓᲒᲐ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი შეუდგა მსოფლიო პირველობის ფინალისთვის მზადებას. 20 იანვარს გუნდი უფროსი მწვრთნელის გ. კაჩალინისა და მწვრთნელის ა. პარამონოვის ხელმძღვანელობით მოსკოვიდან გაემგზავრა იუგოსლავიას, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე.

აქ, „მაკარსკის“ ბაზაზე, ნაკრები გაივლის მზადების პირველ ეტაპს. საბჭოთა ფეხბურთელები სამ მატჩს გამართავენ იუგოსლავიის საკლუბო გუნდებთან, შემდეგ კი საწვრთნელი თამაშების ჩასატარებლად სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრებიან. გუნდს თებერვლის პირველ ნახევარში დაგეგმილი აქვს ორი მატჩი ვენესუელაში, თითო — პერუსა და სალვადორში. ტურნე დამთავრდება მექსიკაში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების მასპინძელ ქვეყანაში. 25 თებერვალს გაიმართება მატჩი პუებლაში, ხოლო 28 თებერვალს — გვადალახარაში. ორივე შემთხვევაში საბჭოთა ნაკრების მეტოქეები იქნებიან მექსიკის უძლიერესი საკლუბო გუნდები.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში არიან: მეკარეები — ე. რუდაკოვი, ა. კავაზაშვილი; დაცვა — რ. ძოძუაშვილი, გ. ლოგოფეტი, ა. შესტერნიოვი, ვ. კაპლიჩნი, მ. ხურცილავა, ვ. აფონინი, ე. ლოვჩევი; ნახევარდაცვა — ვ. სერებრიანიკოვი, კ. ასათიანი, ვ. მუნტიანი, ნ. კისელიოვი, ვ. პაპაევი; თავდასხმა — მ. გერშკოვიჩი, ა. პუზაჩი, ა. ბიშოვეცი, ვ. ხმელნიცკი, გ. ნოდია.

სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ ნაკრების წევრები დაუბრუნდებიან თავიანთ კლუბებს და აპრილის შუა რიცხვებამდე ითამაშებენ საკავშირო ჩემპიონატში.

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ, 20 იანვარი. ზარასაისკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ელერენაის“ მეჯინიბე კ. შილეიკისი პირველი სპორტსმენია, რომელსაც ლიტვის სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. ამას წინათ მან მოიგო მარხილებით რბოლა სარტაის ტბის ყინულზე. რესპუბლიკაში უაღრესად პოპულარული ეს შეჯიბრებები უკვე საუკუნახევარზე მეტია ტარდება და ჩვეულებრივ 50 ათასზე მეტ მაყურებელს იზიდავს ხოლმე.

ახლა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ყინულზე რბოლაში გამარჯვებულებს ოსტატის წოდება მიენიჭებათ. ეს ნორმატივი შეასრულა სარტაის ტბაზე გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა კიდევ სამმა სპორტსმენმა. ესენი არიან ზარასაისკის სატყეო მეურნეობის მეტყევე ვ. მიკალაუსკასი, დუსეტსკის საცხენე ქარხნის მესაზიდრე ბ. გრიგენასი და ტაურაგსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ლაუკსარგისის“ განყოფილების მმართველი ი. ლმალინაუსკასი.

ამიერიდან ლიტვის სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭებათ, აგრეთვე, რესპუბლიკის ჩემპიონებს ეროვნულ თამაშში, რომელსაც რიტინისი ჰქვია. ეს გუნდური თამაში განსაკუთრებით პოპულარულია სოფლის ახალგაზრდობას შორის.

(საკდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲒᲠᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

ᲩᲔᲚᲘᲐᲑᲘᲜᲡᲙᲔᲚᲘ ხ. იუსუპოვი „დინამოს“ საოლქო საბჭოს წვრთნელია სამბოში. მისმა შექმნილმა ჭიდაობის სკოლამ მთელს საბჭოთა კავშირში ჰპოვა აღიარება. ამ სკოლის აღზრდილები არიან ქვეყნის ჭაბუკთა პირველობის ჩემპიონები ვ. მოსეიჩუკი, ბ. შუნკინი, გ. ივშინი, ბ. ხარიტონოვი, რუსეთის ჩემპიონები მოზრდილთა შორის ი. პოპოვი და ა. ნიკიშინი. ოლქის ჭაბუკ და მოზრდილ სამბისტთა ნაკრები გუნდების რსფსრ-ს პირველობათა პრიზიორები არიან.

ბერლინის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირში იუსუპოვის აღზრდილმა ვ. მოსეიჩუკმა ძიუდოში ოქროს მედალი მიიღო.

წლეულს ბერლინში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება. ამ შეჯიბრების მონაწილე საბჭოთა ნაკრების კანდიდატთა შორის იუსუპოვის მოწაფეებიც არიან.

ხ. იუსუპოვი სპორტის ოსტატია ჭიდაობის სამ სახეობაში — კლასიკურში, თავისუფალში, სამბოში. იგი სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელი და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელია. ახლა სექციაში, რომელსაც იუსუპოვი ამეცადინებს, 280 კაცია გაერთიანებული.

* * *



სურათზე: ხ. იუსუპოვი (მარცხნივ) და სსრ კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ვ. მოსეიჩუკი.

ფოტო ბ. კლიპინიცერისა (საკდესი).

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზევით — ოსტატობის პროგრამით მოასპარეზე ქალთა შეჯიბრების მეორე პრიზიორი მ. ხაჩატუროვა; ქვევით — წყვილთა ტურნირის ვერცხლის პრიზიორები ნ. ქუმსიაშვილი და ა. შამყულაშვილი შეჯიბრების დროს.

ფოტო ო. გელაშვილისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

●

(ᲩᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲘᲮ. ᲛᲔ-3 -ᲒᲕ.).

ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲛᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

გუშინწინ მოსკოვში გათამაშდა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის ტ. პეტროსიან — ლ. პოლუგაევსკის მატჩის I პარტია. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი შავებით თამაშობდა, მაგრამ მაინც შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება. პაიკის მოგების შემდეგ პეტროსიანმა ბრძოლა ენდშპილში გადაიყვანა. როცა მისი პაიკი ლაზიერში გასასვლელად დაიძრა, 37-ე სვლაზე პოლუგაევსკი დანებდა.

ამრიგად, პეტროსიანმა ანგარიში გახსნა — 1:0. მატჩის მოკებისთვის დანარჩენ ხუთ პარტიაში მას 2,5 ქულის მოგროვებაც ეყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

პირველი წრე ციფრებში

		თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)		11	7	4	946—890	7
	მატჩი	წუთი	ჯარიმა	ქულა		
1. ბოლოშევი	11	301	48	165		
2. პეტროვი	8	233	28	132		
3. სოკოლოვი	9	240	35	125		
4. იზბიცკი	11	191	34	109		
5. სოლოგუბი	6	153	26	94		
6. ცინმანი	11	341	39	86		
7. ავრაამოვი	11	295	29	86		
8. ზასტუხოვი	4	108	15	42		
9. გოლუბკოვი	11	117	29	38		
10. აპოლონინი	7	67	11	28		
11. ნიკიტინი	2	40	6	15		
12. სუჩკოვი	7	51	19	15		
13. შალამოვი	7	52	15	10		
14. იასტრებოვი	5	31	6	6		

„დინამო“ (პირველი წრის შემდეგ — V ადგილი) „გატანილი“ ქულებით (946) უველას სჯობს, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდს საუკეთესო თავდასხმა ჰყავს. ქულების ბალანსით კი მოსკოველები მხოლოდ IV ადგილზე არიან (+56). დინამოელებმა შინ 6 მატჩი ჩაატარეს და 5 მოიგეს (დამარცხდნენ „უალგირისთან“). სამაგიეროდ, სტუმრად ცუდად ითამაშეს: ხუთ შეხვედრაში მხოლოდ 2 ქულა აიღეს. „დინამო“ უოველ მატჩს საშუალოდ ასეთი ანგარიშით იგებდა — 86:80.

		თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„კალევი“ (ტარტუ)		10	6	4	780—792	6
	მატჩი	წუთი	ჯარიმა	ქულა		
1. ტომსონი	10	316	38	167		
2. ტამისტე	10	301	34	142		
3. კრიკუნი	10	280	28	112		
4. ლიპსო	10	243	37	95		
5. ბ. ლილი	10	204	25	74		
6. ლეპმეტსი	10	165	38	70		
7. სალუმეტსი	5	129	20	59		
8. ლენციუსი	10	211	42	37		
9. მეტსარი	5	45	13	13		
10. პარბო	4	20	8	6		
11. ფილატოვი	5	41	3	5		
12. ილვესი	4	23	5	0		
13. ა. ლილი	1	8	2	0		

„კალევს“ (ჯერჯერობით VI ადგილი) პირველი წრის ერთი მატჩი დარჩა სათამაშო (თბილისის „დინამოსთან“), ამიტომ მისი შედეგები საბოლოო არ არის. „გატანილი“ ქულებით ესტონეთის გუნდი ბოლოსწინა, XI ადგილზეა, ხოლო გატანილისა და მიღებულის სხვაობით — VII; „კალევს“ უარყოფითი ბალანსი აქვს (—12). ესტონელებმა შინ 6 შეხვედრა ჩაატარეს და მხოლოდ 3 მოიგეს. სამაგიეროდ, სტუმრად 4-დან 3 ქულა აიღეს.

ორმოცდაათისა



ნიკოლოზ რობაჭიძის სახელსა და გვარს რეკორდსმენებისა და ჩემპიონების ვერც ერთ სიაში ვერ შეხვდებით — ამაზე მას არასოდეს უოცნებია, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრება მაინც ფიზკულტურასა და სპორტს დაუკავშირა.

ფიზკულტურა და სპორტი ნიკოლოზმა საშუალო სკოლაშივე შეიყვარა. სკოლის დამთავრების შემდეგ მან საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სპეციალური კურსები გაიარა და ჩხარში ფიზაღზრდის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მალე იგი ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედაც აირჩიეს და იმერეთის მთელ იმ კუთხეში ფიზკულტურასა და სპორტზე ზრუნვა დაავალეს.

ნიკოლოზმა სამამულო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე წასვლა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგომა განიზრახა, მაგრამ ზურგში დატოვეს — პირველთანრიგოსანი მოფარიკავე შინაგანი დაცვის ჯარისკაცებს ხელჩართული ბრძოლის ხერხებს ასწავლიდა.

როცა მტერმა კავკასიონიდან უკან დაიხია, რობაჭიძე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტში ინსპექტორად დანიშნეს — ფარიკაობის, ფეხბურთის (რაიონის ნაკრების წევრი იყო), კალათბურთის (ინსტიტუტის ნაკრების წევრი გახლდათ) კარგ მცოდნეს ამ სახეობების განვითარებისთვის ზრუნვა მიანდეს. სამი წლის შემდეგ რობაჭიძე კარგი ნუშაობისთვის დაჯილდოურეს — „მედიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს. მას შემდეგაც მუდამ პასუხსაგებ საქმეებს ანდობდნენ.

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ნ. რობაჭიძეს ამას წინათ 50 წელი შეუსრულდა. ეს არც ისე დიდი დროა, მაგრამ ნიკოლოზმა მაინც ბევრის გაკეთება შეძლო.

იუბილარს ვესტუმრეთ. იგი საქართველოს სპორტის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე გვესაუბრა გატაცებით...

ფიზკულტურელთა რიგების შემდგომი ზრდა უფრო მეტ ენერგიას, მეტ შრომასა და ზრუნვას მოითხოვს და გვჯერა, რომ ნ. რობაჭიძე მთელ თავის ძალას სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას მოახმარს. მის თავდადებაზე, შრომისმოყვარეობაზე ხომ ნათლად მეტყველებენ „ფიზკულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო მედალი, ფიზკულტურის საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტების, პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს სიგელები და დიპლომები, რომლებიც ნიკოლოზ რობაჭიძემ ჯილდოდ მიიღო.

ო. ივდოშვილი.

ვარკეთილი ვარდფენილიც იქნება

ასფალტიანი გზა გაზაფხულიდან ვიდრე შემოდგომამდე მწვანე ფერდობებსა და მოშრიალე ბალ-ვეხახებს შორის მიიმართება. მარცხნივ თბილისის ზღვის ზვირთების ხმა ისმის, მარჯვნივ კი მოუსვენარი ქარი აღელვებს ზვარ-ბაღებს. „ქართლის ცხოვრების“ სტრიქონებში მოხსენებულ ლილოს მისასვლელებს მაშინ არ ჰქონია ქარსაცავი ზოლები. უდაბნოს ჰგავდა. ახლა კი ხორშაკი ვერაფერს აკლებს განაზლებული მიწის საფარს. ოთხივე კუთხით შეკრული საიმედო კედელია ალვების კრებული. იგი მხნედ გუშაგობს ვარდს, ვაზს, ხეხილს და საზეიმო მყუდროებას ანიჭებს მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა „ვარკეთილის“ სპორტულ ქალაქს.

ივრის წყლის მოდინებას ლილოელთა, ბევრეთელთა, ნახშირგორელთა და სხვათა დაფუძნება მოჰყვა. პატარა ლილო ისევე შეუმჩნევლად შთანთქა ვარკეთილმა, როგორც ჩუდურეთი და ავჭალა—თბილისმა. ლილოელებმა მოიტანეს არა მარტო შრომისმოყვარეობა, არამედ განთქმული თანასოფელელის თედო ავალიშვილის საჭიდაო მეშკვიდრეობაც. მათ იციან, ბევრი მეტოქე დაუმარცხებია წინაპარს და ალალად უტარებია შემართებით მოხვეჭილი დიდგომბაკიანი ვერცხლის ქამარი. იქნებ, მათაც ამხნევებს ხოლმე დიდ ლილოელის ძვირფასი საჩუქრის გახსენება სარბიელზე პაექრობისას. თედოსავით ძალ-ღონით სავსე, ზორბა ტანადობის ბევრი ახალგაზრდა ხოვლიცა ახალაღმოცენებულ ვარკეთილს. წინაპართა ტრადიციას მიჰყვნენ აქაური პირველი მოჭიდავენი ვ. ბექაური, მ. გოგიაშვილი, მ. მკალავიშვილი, გ. ბერიძე...

პირველნი იმიტომ, რომ ვარკეთილი მხოლოდ 12 წლისაა და რესპუბლიკის რუკაზე ჯერჯერობით მოხაზული როდია გეოგრაფიულ პუნქტად. მიუხედავად მეურნეობის სიახალგაზრდავისა, ვარკეთილელებს საფუძველი აქვთ იამაყონ საკუთარი წარმატებებით.

— აქ მარტო ხილისა და ყურძნის მადანი როდია, იგი მეზვრე-მეხილეთა აღზრდის კერაც გახლავთ, —გვეუბნება მეურნეობის დირექტორი, ათლეტური აგებულების მხარბეჭიანი ვაჟკაცი იაკიმ კაკილაძე და წინ მიგვიძღვის.

მართლაც ჯერ კიდევ ზაფხულში, როცა პირველად ვიყავით აქ, მალე დავრწმუნდით, რომ სპორტის განვითარებაზე ასეთი მზრუნველობა მხოლოდ მის თავგამოდებულ მოყვარულს შეუძლია და სწორედ ასეთად გვესახება კავილაძეც. ცენტრალურ კარმიდამოში ვართ. მინისა და ბეტონის კორპუსებით შემკულ ეზოში შადრევანი ჩქეფს. აუზში შხეფების ქოლგის ქვეშ ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ყივილ-ხივილობენ.

იქიდან მუქად შეღებილი გრძელი აუზისკენ ვიხაცვლებთ. წყალი ლურჯად ალივლივებულა. ჭაბუკები გაბედულად ხტებიან ბროლის ქავლში და ვარჯიშობენ... გასაგებია ი. კავილაძის ასეთი სვლიგზის მიზანი: თავის დროზე აქ იცურავებენ წელანდელი ნორჩები!

აქვე ახლოს რუხი ფერის ახალი შენობის კოტტურები ყამოზიდულა. ეს გახლავთ 36 მეტრი სიგრძისა და 18 მეტრი სიგანის სპორტული დარბაზი, იგი შემადგენელი ნაწილია ფიზკულტურული კომპლექსისა, რომელიც მეურნეობის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ვიდრე ახალი დარბაზი სპორტს სმენებს კარს გაუღებს, ახალგაზრდები კულტურის სახლის სიკეთით სარგებლობენ. მის სპორტბაზაზე კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის, ჭიდაობისა და კრივის ათობით მოყვარული იწვრთნება.

ფიზკულტურული მუშაობის გაჩაღება იგრძნობა მუსიკალური სასწავლებლის ფილიალსა და საშუალო სკოლაში, რომელსაც კარგი სპორტული დარბაზი აქვს.

ზოგიერთი აქაური სპორტსმენის სახელი უკვე სცილდება მეურნეობის ფარგლებს. ძალოსნობაში წარმატებები მოიპოვა, მაგალითად, აგრონომმა ზურაბ პაპიძემ. 1967 წელს მეურნეობაში ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა კოლექტივი. აქაც პირველი წარმატება: გუნდმა გარდაბნის რაიონის პირველობა მოიხეჭა.

ადგილობრივი საშუალო სკოლის პირველმა კურსდამთავრებულებმა წარშან ბრიგადა შექმნეს და 5,1 ტონის ნაცვლად ჰექტარიდან 6 ტონა ხილი მოიწიეს. ბრიგადის წევრები ფიზკულტურელებიც არიან. კარგად ზრომობენ და სპორტულ ასპარეზობაშიც წილი უდევთ კომკავშირელებს ეთერ ზანგურაშვილს, დალი მიქელაძეს, ნანული ნარიმანიძეს, ნინო ლომიძეს...

ვარკეთილის სპორტული კომპლექსის გვირგვინია ახალი სტადიონი, რომლის მწვანე მინდორი, რკინაბეტონის ტრიბუნები, ალავერდიდან ჩამოტანილი წიდით და მცხეთური თიხით მოფენილი სარბენი ბილიკები მექანიზატორების გიორგი ყარყარაშვილისა და გაბრიელ წიკლაურის, მშენებლების ალექსი თამარაშვილისა და სულიკო გიკაშვილის მარჯვენით არის დაფუძნებული. სტადიონის ტრიბუნები 15.000 მაყურებელს იტევს.

ასეთი საახალწლო საჩუქარი მიიღეს ვარკეთილელმა ფიზკულტურის მოყვარულებმა. მალე მწყობრში ჩადგება აგრეთვე სათბური, რომელიც წელიწადის ყოველ პერიოდში უხვად გამოიყვანს ვარდს. სურნელოვანი მცენარე ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობის სამსახურშიც ჩადგება. ვარკეთილის ვარდყვავილით ხელს დაუშვენებენ ასპარეზობაში გამარჯვებულთ. ვარდფენილიც იქნება სპორტული ვარკეთილი.

ი. ჯავახიშვილი.

რეკორდსმენები სკოლებში ვეძებოთ

ვისაც ოდნავ მაინც აფიქრებს საქართველოს სპორტის დღევანდელობა და შესაძლებლობები, აქვს საშუალება თავისი აზრი გამოთქვას და წინადადება წამოაყენოს რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის“ განვითარების პერსპექტივებზე. ამის უფლებას გვაძლევს „ლელოს“ ფურცლებზე გამართული დისკუსია და იგი სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ.

რესპუბლიკის ზემდგომი სპორტული ორგანიზაციები მძლეოსნობის ჩამორჩენის მიზეზებზე ყოველწლიურად მსჯელობენ. საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII მოწვევის V სესიის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია ჩვენში ამ სახეობის შემდგომი განვითარების საკითხი. შედეგებიც თითქოს უფრო ამაღლდა, მაგრამ საერთო ტემპს მაინც ჩამოვრჩებით, ვინაიდან „სპორტის დედოფლის“ აღმავლობისთვის სხვა რესპუბლიკებში უფრო მეტი კეთდება: ყოველ შემთხვევაში, სადღეისო ამოცანებს ისინი ჩვენზე უკეთ უპასუხებენ.

ჩემი აზრით, „ლელოში“ უკვე გამოქვეყნებულ წერილებში ბევრი საკითხი დროულად იყო დასმული. ავტორები ბაზებისა და ჯგუფების სიმცირეზე, მუშაობის სისტემის ხარვეზებზე ლაპარაკობდნენ. მე ვფიქრობდი მათს წინადადებებს და ჩემს საუბარსაც დავუმატებ: რესპუბლიკაში უამრავი ბაზაც რომ გვქონდეს, მათი დაქირავება ისე ძვირი ჯდება, რომ ვერც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი ამ საფასურის სისტემატურად გადახდას ვერ შეძლებს. მძლეოსნობაში წარმატებისთვის კი სწორედ სრულწლიური, რეგულარული ვარჯიშია საჭირო. თუ ფიზკულტურულ კოლექტივებს სათანადო პირობებს არ შევუქმნით, მძლეოსნობის განვითარების ტემპი სრულყოფილი არასოდეს იქნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებს. მომავალი რეკორდსმენები და ჩემპიონები სწორედ იქ უნდა ვეძებოთ. მაგრამ ჩვენში რა ხდება?

თბილისის ვერც ერთი სკოლის (აღარაფერს ვამბობთ პერიფერიებზე) ფიზაღზრდის მასწავლებელი ვერ დაიჭადნის, რომ გაკვეთილებს მუდამ პროგრამის მიხედვით ატარებდეს. პროგრამაში კი ყველაფერი მძლეოსნურ ელემენტებზეა აგებული, ამიტომ საათების მაქსიმუმი სწორედ ამ სახეობას ეთმობა. სანამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეს საკითხი არ გადაწყდება, ბავშვებში მძლეოსნობის სათანადოდ განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არა და, სწორედ მძლეოსნობაა სპორტის თითქმის ყველა სხვა სახეობის საფუძველი. აბა რომელი ფეხბურთელი, კალათბურთელი, ფრენბურთელი იტყვის, ეს სახეობა არ გვჭირდებაო. რომელი მოცურავე, წყალბურთელი თუ წყალში მხტომელი არ იყენებს მძლეოსნობას საერთო ფიზიკურ მომზადებაში?

ხშირია შემთხვევები, რომ ბავშვები მძლეოსნობით იწყებენ (სხვათა შორის, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უმეტესობას თავდაპირველად სწორედ მძლეოსნობა — სირბილი, ხტომა, ტყორცნა უფრო იზიდავს), მაგრამ შემდეგ, როცა მასწავლებლები გულგრილობას იჩენენ, ბავშვებიც უფრო იოლ, ნაკლებად შრომატევად სახეობებს არჩევენ.

სკოლებში მძლეოსნობის დანერგვასა და განვითარებას კარგად ორგანიზებული საშეფო მუშაობაც დიდად შეუწყობს ხელს. მაგალითად, ხომ შეიძლება სპორტსაზოგადოების რომელიმე საბჭომ პირველი მაისის ან სხვა რაიონის სკოლებზე შეფობა ივალდებულოს. საბჭოს მთელი ამ ტვირთის აწევა, რა თქმა უნდა, გაუჭირდება, მაგრამ მან ამ საქმეში თავისი ფიზკულტურული კოლექტივები უნდა გამოიყენოს და პერიოდულად შეამოწმოს მათი საქმიანობა, სკოლისა და საწარმოს კავშირი, ერთობლივი შრომის შედეგი, მოაწყოს საშეფო ორგანიზაციებს შორის შეჯიბრება. ურიგო არც ის იქნება, თუ შემდეგ საზოგადოებები საუკეთესოებით რამდენიმე ფასიან ჯგუფსაც დააკომპლექტებენ. ერთი სიტყვით, საკუთარი ძალების გამოვლინება-აღზრდისთვის იბრძოლებენ და „ნასესხები“ სპორტსმენებით ფონს გასვლაზე აღარ იფიქრებენ.

იქნებ შემოგვედაონ, თბილისში ეს საქმე საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებულმა სკოლამ უკვე გააკეთა და პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებს მძლეოსნებს ის უზრდისო. ამ სკოლის გახსნა მართლაც კარგი საქმეა, მაგრამ ეს არ კმარა. რისთვისღა არიან „განთიადი“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „ბურევესტნიკი“?

მძლეოსნობის აღმავლობას ხელს შეუწყობს ისიც, თუ წამყვანი მწვრთნელები უფრო მონდომებით იმუშავებენ, თვითონ მოძებნიან ნიჭიერ ახალგაზრდებს და მათი აღზრდისთვის იზრუნებენ. ეგრეთ წოდებული რიგითი მწვრთნელები ხშირად ამბობენ: მუშაობის ხალისი აღარა გვაქვს, იპოვნი ვინმეს, გზაზე დააყენენ და წაგართმევენ, სახელსაც თვითონ იქმნიან და სახრავიც მათ რჩებათო.

კიდევ ერთი: ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი და მძლეოსნობის განვითარებით დაინტერესებული სხვა ორგანიზაციები კარგ საქმეს გააკეთებდნენ, თუ სამსახურიდან დაითხოვდნენ ისეთ მწვრთნელებს, რომლებიც, სათანადო პირობების მიუხედავად, 4-5 წლის მანძილზე უნაყოფოდ მუშაობენ.

დასასრულ მინდა ქალაქების, რაიონების ფიზკულტურის კოლექტივებს, საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ვუთხრა: თუ არაფრად გიღირთ წლების მანძილზე 15-20 ფეხბურთელის „შენახვა“, ხომ შეიძლებოდა სახსრების გარკვეული ნაწილი მძლეოსანთა აღზრდისთვისაც გაგემეტებინათ?

შ. ოქრიაშვილი,

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ფიზკულტურის მეთოდისტი.

ეხმაურეგიან წერილს: „სპეციალისტებო, თქვენ რას იტყვით?“

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

ფინელები ფორმაში შედიან

ბოთხილამურეთა მსოფლიო პირველობამდე ერთ თვეზე ნაკლები დარჩა. რაც უფრო ახლოვდება ჩეხოსლოვაკიის ტატრებში გასანაწილებელი მედლების ბრწყინვალეპა, მით უფრო გაცხოველებით ემზადებიან გუნდები, ვარჯიში უფრო ინტენსიური გახდა, გაწმირდა საერთაშორისო ტურნირები, თვალსაჩინოა სპორტსმენთა შედეგების ზრდაც.

სულ ორიოდე კვირის წინ ფინელი მოთხილამურეები ერიდებოდნენ დიდ სარბიელზე გამოსვლას, — საშინაო ტურნირებს სჯერდებოდნენ. მათ სტუმრად მიიღეს მხოლოდ სსრ კავშირის სპორტსმენები, რომლებთანაც შეხვედრების უმეტესობა წააგეს.

მაგრამ ახლა? როგორც ბულგარეთის გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ წერს, სუომის მოთხილამურეები უკვე საუკეთესო ფორმაში არიან და მომავალსაც იმედის თვალით უყურებენ. მათი მაჩვენებლების ზრდა იოუსტსა და კეურუში გამართულმა ეროვნულმა ტურნირებმაც დაადასტურა.

კეურუში ბრძოლას ძლიერი ქარი და გაყინული ბილიკები აძნელებდა, მაგრამ ჩეხოსლოვაკიაში წასვლის არც ერთ მსურველს უკან არ დაუხევია. 5 კმ-ის შემდეგ დაწინაურდა ცნობილი კ. ლაურილა. მან მანძილი 18 წუთსა და 37 წამში დაფარა. უხეირო ამინდის პირობებში ეს საკმაოდ მაღალი შედეგია. საბოლოოდ 15 კმ-ზე ლაურილამ 57.37 აჩვენა და ერთ წუთზე მეტი მოუგო კ. იოკარაინენს. აქვე ქალთა ასპარეზობაში 5 კმ ყველაზე სწრაფად გაირბინა მ. მუტილაინენმა — 21.34.

რამდენიმე დღის შემდეგ ანალოგიური ტურნირი გაიმართა იოუტსაში. ლაურილას გამოცდილებას ამჯერად რ. ლეკტინენის ახალგაზრდულმა ენერგიამ აჯობა. ლეკტინენმა 49.29 აჩვენა და ლაურილას 3 წამი მოუგო.

ამ ასპარეზობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ახალგაზრდა ჰ. რიპატის ნიჭიერება. სპეციალისტების აზრით, მისი რბენის ყაიდა ძალიან ჰგავს მსოფლიოს ექს-ჩემპიონ კ. კოლეჰმაინენის სტილს. დაიჩაგრა მუტილაინენიც: 5 კმ-ზე რბენაში მას (19.40) აქ ჰ. ტაკალომაც აჯობა (19.15) და ლ. სუჰკონენმაც (19.35).

ფინელებმა მხოლოდ ამ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გაბედეს თავისი ქვეყნიდან გასვლა. ისინი სკონს (შვეცია) ესტუმრნენ, სადაც შვედ და ნორვეგიელ მოთხილამურეებს შეეჯიბრნენ 15 კმ-ზე რბენაში. დაძაბულ ბრძოლაში იოკარაინენმა ერთი წამი მოუგო ლ.-ა. ბიოლინგომს (შვეცია), რომელმაც 54.17,0 აჩვენა.

ფავორიტები კარტებს ხსნიან

შვედები ბიატლონში მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტები არასოდეს ყოფილან. ამიტომ მათ ნორვეგიელებთან ერთობლივი წვრთნა ირჩიეს და ახლახან ამ ქვეყნის სპორტსმენებთან ორი შეჯიბრება გამართეს. შვედებმა ორივე ტურნირში კარგად ირბინეს, მაგრამ მეტისმეტად ცუდად ისროლეს. ამის გამო როგორც ტურსბიუში, ისე ლიმაში, ყველა საპრიზო ადგილი ნორვეგიელ ბიატლონისტებს დარჩათ. ლიმაში ყველაზე ზუსტად ჩ. ხოვდამ ისროლა (იგი მხოლოდ 1 წუთით დაჯარიმდა). სამაგიეროდ, ტ. სვენდსბერგს მან რბენაში დაუთმო და II ადგილს დასჯერდა. III ადგილზე გავიდა ე. იელტენი, რომელიც 4 წუთით დაჯარიმდა. იელტენმა ტურსბიუში ამდენივე საჯარიმო მიიღო, მაგრამ ამჯერად რბოლის ხარჯზე გამოასწორა მდგომარეობა და პირველობა მოიპოვა.

რბენაში მსოფლიო პირველობის ფავორიტები — ნორვეგიელები კარტებს ხსნიან. ბოლო შეჯიბრებებში ნაკრების წევრები მთელი ენერგიით იბრძოდნენ იმ დისტანციებზე, რომლებშიც მედლების მოპოვების იმედი აქვთ — ამოწმებდნენ, რისი შნო აქვთ. მათ ამგვარი ასპარეზობა ჰქონდათ იტრე-ვიკნაში. 30 კმ-ზე რბენა მოიგო მ. ლიუნდგმემ — 1:57.20. II ადგილზეა პ. ტილდუმი — 1:58.32.

უხერხული მეტოქე

იტალიის მოთხილამურეები მსოფლიო პირველობის ფავორიტებისთვის განსაკუთრებით უხერხული მეტოქეები იქნებიან ვაჟთა რბენაში. ა. სტალამ, ფ. ნონესმა და პ. სარაფინიმ უკვე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი მოიგეს. ახლახან მათ იხვ იმარჯვეს კასტელროტოში (იტალია) 30 კმ-ზე გამართულ შეჯიბრებაში, რომელშიც გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის სპორტსმენებიც გამოდიოდნენ, ე. ბლანკმა 1:51.03,32 აჩვენა. II ადგილზეა პოლონელი ი. რასულია — 1:51.51,54. გფრ-ის გუნდის ლიდერი ვ. დემელი მხოლოდ მეხუთე (1:53.15,66) იყო.

გფრ-ის მოთხილამურეთა მეორე ჯგუფი ლეიკ-პლესიდში (აშშ) საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში ეჯიბრებოდა აშშ-ს, ავსტრიის, შვეიცარიისა და იაპონიის „მფრინავ მოთხილამურეებს“, მაგრამ სასიკეთოს ვერაფერს მიაღწია. სამაგიეროდ, იაპონელებმა იმარჯვეს: მომავალი თეთრი ოლიმპიადის მასპინძლებმა აქ ორი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. სპეციალისტების აზრით, ისინი ტატრებშიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

ლეიკ-პლესიდში პირველობა მოიგო 25 წლის ა. კონომ, რომელიც ჯერ 67,5, მერე 68 მეტრზე გადახტა და 215,8 ქულა მოაგროვა. მასპინძლის — 22 წლის ბ. ჯენინგსის ნახტომები უფრო გრძელი (71 და 67,5) იყო, მაგრამ მან სტილში წააგო და საბოლოოდ 214,4 ქულით II ადგილზე გავიდა. მესამე იყო ს. აოჩი (იაპონია) — 212,9 (ორივეჯერ 66,5 მ).

რაკი სიტყვა იაპონელებზე ჩამოვარდა, იმასაც ვიტყვით, რომ ამ ქვეყანამ ბოლო შეჯიბრების შედეგების საფუძველზე უკვე დაკომპლექტა ბიატლონისტთა ნაკრები, რომელშიც 7 სპორტსმენი ჩარიცხა. ესენი არიან: გასული მსოფლიო პირველობის მეხუთე პრიზიორი ნ. ტანი, აგრეთვე, ფ. ომი, ჰ. იოსიმურა, ი. შირატე, ჩ. იოსიცუმი, მ. სიბუიაი და ი. ონი. გუნდის საშუალო ასაკია 25 წელი.

რაშკა კიდევ გამარჯვებას აპირებს

ბოლონური გაზეთი „პშეგლონდ სპორტოვი“ წერს: „მფრინავ მოთხილამურეთა“ ოლიმპიური ჩემპიონი ი. რაშკა (ჩეხოსლოვაკია) კიდევ გამარჯვებას აპირებს — განუზრახავს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენოს მკერდი“. რაშკამ განსაკუთრებით იმარჯვა ჩეხოსლოვაკიის 3 ტრამპლინის ტურნირში, რომელშიც, მასპინძელთა გარდა, სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც გამოდიოდნენ. შპინდლერუვ-მლინში, პლისსა და ლიბერეცში იგი მეტოქეებს აშკარად სჯობდა. მაგალითად, პლისში რაშკამ 221,9 ქულა (79 და 76,5 მ) მოაგროვა, მაშინ, როცა II ადგილზე გასული ბ. ეკშტაინი (გდრ) 215,7 ქულას დასჯერდა, თუმცა ნახტომების ჯამში (78,5 და 77,5 მ) მეტოქეს აჯობა კიდეც. რაშკას ზედმიწევნით დაუსვეწავს სტილი და ამის განსაკუთრებული ფასი აქვს.

შპინდლერუვ-მლინში რაშკა ორივეჯერ 78 მეტრზე გადახტა (222,6 ქულა), ლიბერეცის დიდ ტრამპლინზე კი 102 და 98 მ აჩვენა, რამაც 230,3 ქულა მოუტანა.

„ახალი კილი“

ასე შეარქვეს 18 წლის იტალიელ სამთოთხილამურეს ტონინს, რომელიც ბოლო შეჯიბრებებში ბრწყინვალედ ასპარეზობს. სპეციალისტების აზრით, იგი შესანიშნავი ტექნიკის პატრონია და დიდი ფიზიკური ძალა აქვს, რომელიც უგრძესი დისტანციის წარმატებით გაელისთვისაც ეყოფა. ტიროლმ კარგად ითამაშა ადელბადენში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც ჯერ სპეციალურ სლალომში დაჯაბნა ყველა, შემდეგ კი გიგანტური სლალომიც მოიგო.

ორივე ამ შეჯიბრებაში კვლავ იმარჯვეს საფრანგეთის ვაჟთა გუნდის წევრებმა და მსოფლიო თასის გათამაშების საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა უფრო განმტკიცეს: სპეციალურ სლალომში II ადგილზეა რუსელი, III — ოქე, IV — დიუვიერი.

შემდეგი ადგილები ხვდათ კიდს (აშშ) და ბლაინერს (ავსტრია).

პირად ტურნირში თასის შარშანდელი მფლობელი შრანცი (ავსტრია) VII ადგილს დასჯერდა, თუმცა გიგანტურ სლალომში გამოასწორა მდგომარეობა — II ადგილი დაიკავა. აქ მან ოდნავ აჯობა ჭეკელმილერს (გფრ).

ამ დღეებში ქალები გრინდენვალდში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სწრაფდაშვებაში. აქაც საფრანგეთის მოთხილამურეებმა იმარჯვეს: მირი, ფამოზი, სტიორერი — ასეთი იყო უძლიერესთა ტრიო. VI ადგილი ხვდა მაკის, რომელიც თანაგუნდელებს დააშორეს ავსტრიელებმა დრექსელმა და პრიოლმა.

ᲨᲘᲨᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

თბილისის ფიგურული ციგურაობის სპეციალიზებული სპორტსკოლა არსებობის მეთერთმეტე წელს ითვლის. ჩვენს რესპუბლიკაში ამ ტიპის ერთადერთმა სასწავლებელმა დედაქალაქის სპორტის მოყვარულებში დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. ამას ის ადასტურებს, რომ ყოველწლიურად სკოლას ამ სასწავლებელში ჩარიცხვის ათასობით მსურველი აკითხავს, მაგრამ სკოლის ყინულის მოედანზე გასვლის უფლებას მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იღებს. მოსწავლეთა მიღება იმიტომაა შეზღუდული, რომ სკოლის ყინულის სარბიელი მეტად პატარაა და ძირითადი ჯგუფების მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს.

და მაინც, სკოლამ განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარა: თავისი აღზრდილები უკვე დააფრთიანა და საკავშირო სარბიელზე გაუშვა. აქაურმა მოსწავლეებმა თავი განსაკუთრებით შარშან გამოიჩინეს სსრ კავშირის თასის გათამაშებაში (უფა) და შემდეგ როსტოვში გამართულ საკავშირო ტურნირში.

თუ წინა წლებში სკოლა იმით ამაყობდა, რომ პირველთანრიგოსნებს ზრდიდა, შარშანწინ ორმა მოსწავლემ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შესასრულა, შარშან კი კიდევ ექვსმა სპორტსმენმა მოიპოვა ოატატობის კანდიდატის სახელი. აქ კი სულ 250 ადამიანია.

საქართველოს სპორტსმენებს წლეულსაც სერიოზული გამოცდები აქვთ, ამიტომ მათ დროულად დაიწყეს მზადება, ამას წინათ კი ბაკურიანში „დინამოს“ ღია საციგურაოზე გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში შეამოწმეს ძალები.

შეჯიბრება, ფაქტიურად, თბილისის ფიგურული ციგურაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის ჩემპიონატი იყო, ვინაიდან ტურნირში მარტო სკოლის აღსაზრდელები გამოდიოდნენ. ასპარეზობა საინტერესოდ ჩატარდა და მას ყოველდღე ათასობით მაყურებელი ესწრებოდა.

ჩემპიონატი სამ დღეს გაგრძელდა. შეჯიბრება ჩატარდა მოზრდილთა I თანრიგის, ოსტატობის კანდიდატთა და სპორტის ოსტატთა პროგრამით, ოდონდ ეგ იყო, ჩემპიონები მხოლოდ უმაღლეს თანრიგებში ვლინდებოდნენ.

პირველი თანრიგის პროგრამით მოასპარეზე ბიჭებში თბილისის 62-ე სკოლის VI კლასის მოსწავლე დ. თვალიძე სავალდებულო პროგრამის შემდეგ 357,9 ქულით დაწინაურდა. ნებისმიერ ვარჯიშში მან 460,9 ქულა მიიღო და საბოლოოდ I ადგილი დაიკავა. გოგონებში წინ იყო 35-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლე ე. გამყრელიძე, რომელმაც 360,7 ქულა დააგროვა და პირველი თანრიგის ნორმატივი შესასრულა. 96-ე სკოლის მეოთხეკლასელი ლ. გაბელაია მასთან 9,2 ქულას აგებდა, მაგრამ ნებისმიერი პროგრამის შესრულებისას გაბელაია უფრო ზუსტი აღმოჩნდა, საბოლოოდ 788,9 ქულა მოაგროვა და გამარჯვებაც დაისაკუთრა. გამყრელიძე II ადგილზე დარჩა — 780,7. კარგი მომზადება გამოავლინა III ადგილზე გასულმა, 10 წლის ლუიზა იზმაილოვამაც (მე-2 სკოლა).

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით კარგად გამოვიდა მე-100 სკოლის მეხუთეკლასელი მ. კომორიძე, რომელმაც მეტოქეებს აჯობა როგორც სავალდებულო (452,1 ქულა), ისე ნებისმიერ (635,7) ვარჯიშში და საბოლოოდ 1087,8 ქულა დააგროვა (ადგილების ჯამი — 5). II ადგილზე გავიდა 27-ე სკოლის მერვეკლასელი ნ. ქუმსიაშვილი — 1048,4 (10), III — 102-ე სკოლის მეექვსეკლასელი მ. მახარაშვილი — 1034,4 (15).

ყველაზე დაძაბული და, მაშასადამე, საინტერესოც გახლდათ ტურნირი ოსტატთა პროგრამით. ვაჟთა სავალდებულო ვარჯიშში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. სარაჯიშვილმა 547,9 ქულა მოაგროვა და ხელთ იგდო ლიდერობა. 130-ე სკოლის მერვეკლასელი თ. ლომაძე მას 12,2 ქულით ჩამორჩა. სამაგიეროდ, სავალდებულო ვარჯიშში გამოასწორა მდგომარეობა, ლიდერს 7,5 ქულა მოუგო, მაგრამ ჩემპიონობისთვის ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. პირველობა მოიპოვა სარაჯიშვილმა — 1303,9 (8), II ადგილზეა ლომაძე — 1299,2 (9), III — გ. იაშვილი — 1288,3 (13).

ქალთა სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ 126-ე სკოლის მეხუთეკლასელ ჭ. გუჯაბიძის გამარჯვებაზე ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა, ვინაიდან 52-ე სკოლის მეცხრეკლასელ მ. ხაჩატუროვას (543,8) იგი 18,9 ქულით ჩამორჩა. მაგრამ გუჯაბიძემ ნებისმიერი პროგრამა მოხდენილად, ტემპით, უმეცდომოდ შეასრულა, 765 ქულა მიიღო, საბოლოოდ 1289,9 ქულა დაუგროვდა (ადგილების ჯამი — 5) და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. ხაჩატუროვა II ადგილს დასჯერდა — 1223,3 (11). III ადგილზეა 52-ე სკოლის მეცხრეკლასელი მ. ბარიშვილი.

წყვილთა სრიალში გამარჯვების ორი მთავარი პრეტენდენტი გამოდიოდა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. შამყულაშვილმა ქუმსიაშვილთან შექმნა დუეტი, 50-ე სკოლის მეათეკლასელ გ. იაშვილს კი პარტნიორობას მახარაშვილი უწევდა.

მახარაშვილი უფრო კარგი მეწყვილე გამოდგა, ვიდრე ქუმსიაშვილი. ამ უკანასკნელმა წაიფორხილა, რაც მსაჯებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მართალია, ჩემპიონობა იაშვილ — მახარაშვილის დუეტმა მოიპოვა, მაგრამ ვერც შამყულაშვილსა და ქუმსიაშვილს ვუსაყვედურებთ: მათს ვარჯიშში მონდომება, ტემპერამენტი იგრძნობოდა. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ამ წყვილის პროგრამაში რამდენიმე ახალი ელემენტია.

სანტერესო იყო შეჯიბრება ცეკვაში. ლომაძე და 102-ე სკოლის მემვიდეკლასელი მ. ჯაიანი, ეტყობა, უკვე კარგად იცნობენ ერთმანეთს. ისინი უფრო შეთანხმებულად, სწრაფად და მეტი ჯამომსახველობით ცეკვავდნენ, რთულ მოძრაობებსაც უფრო დახვეწილად ასრულებდნენ და პირველობაც დაისაკუთრეს. ნ. სავენკო — ნ. მურუსიძის წყვილიც ბევრს გვპირდება. ისინი ამჯერად II ადგილს დასჯერდნენ, მაგრამ სპეციალისტებს სწამთ, რომ ისინი სულ მალე კიდევ უფრო გამოიჩენენ თავს.

სპორტსმენები კარგად იყვნენ მომზადებული, თუმცა ბევრი ერთგვარი შიშით, შებოჭილად ასპარეზობდა. როგორც ფიგურული ციგურაობის სპორტსკოლის სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგემ თ. ხანიაშვილმა გვითხრა, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სკოლის პატარა მოედანზე ნავარჯიშევმა სპორტსმენებმა დიდ სარბიელს ალღო ერთბაშად ვერ აუღეს.

ბაკურიანის საციგურაო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკაში ფიგურული ციგურაობის შემდგომი განვითარებისთვის. „დინამომ“ მეტი უნდა იზრუნოს ბაზის კეთილმოწყობისთვის, ვინაიდან ბაკურიანში ბევრია სპორტის ამ სახეობის მოყვარული. არდადეგებზე მუდამ უამრავი დამსვენებელი ჩამოდის რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდანაც. ესეც არ იყოს, ფიგურული ციგურაობის სკოლას რამდენიმე თვით მაინც ექნება ნორმალური სავარჯიშო და ათასობით მანეთს აღარ გადაყრის სსრ კავშირის სხვა ქალაქების საციგურაოებზე შეკრებების ჩატარებაში.

ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ყინულის მოედანზე ცეკვავენ ნ. მურუსიძე (მარცხნივ) და ნ. სავენკო.

ფოტო ავტორისა.

საკვირველი ფენომენი

ᲝᲠᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔ

კინდღის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. ახლახან „კოლმეურნის“ რაისაბჭოს სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში კინდღელებმა II ადგილი დაიკავეს. აქ განსაკუთრებით კარგად მუშაობს ფეხბურთის სექცია (მწვრთნელი ვ. ცვიეშა). უკვე რამდენიმე წელია, რაც კინდღელი ფეხბურთელები რაიონში პირველობას არავის უთმობენ.

რ. ᲞᲔᲓᲘᲐ.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ

გაიმართა ქალაქის მე-3 საშუალო და რკინიგზის საშუალო სკოლების ჭაბუკ ქალთა ბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა. გაიმარჯვეს ნორჩმა რკინიგზელებმა — 40:37.

ა. ᲒᲐᲜᲣᲒᲠᲐᲫᲔ.

სიძულვილიდან სიყვარულამდე — ერთი ნაბიჯი

საფეხბურთო პერუ ზეიმობს: ამ ქვეყნის ნაკრები 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა და ეს ამბავი პერუელებს საფუძველს აძლევს, რაც შეიძლება ხმამაღლა ჩაჰბერონ ბუკ-ნალარას.

რა მოხდა, რატომ ხარობს ასე პერუ ფინალში გასვლას?

საქმე ისაა, რომ პერუელები ეხლოლდ ერთხელ, ისიც ძალიან დიდი ხნის წინათ იყვნენ ფიულ რიმეს თასის გათამაშების ფინალისტები — 1930 წელს. და ისიც, კაცმა რომ თქვას, არც იყო ფინალი. იმ წელიწადს მსოფლიო ჩემპიონატს მხოლოდ ეურეგოდა საფუძველი, ევროპიდან შორეულ ურუგვაიში, სადაც გათამაშება მიმდინარეობდა, ევროპიდან ჩავიდა სულ 4 გუნდი (ბელგია, საფრანგეთი, იუგოსლავია, რუმინეთი) და ამიტომ პირველობასაც წმინდა სამხრეთამერიკული ხასიათი ჰქონდა: არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, კოლუმბია, ჩილი, პარაგვაი, მექსიკა, აშშ და, მათთან ერთად, პერუც. აი, ამას თვლიან პერუელთა ფინალში მონაწილეობად, ამასთან, მათ ქვეჯგუფში ორივე მატჩი წააგეს: ურუგვაისთანაც (0:1) და რუმინეთთანაც (1:3).

ახლა კი საქმე სულ სხვაგვარადაა. პერუს ნაკრები გავიდა უიულ რიმეს თასის IX გათამაშების ფინალში და გავიდა ღირსეულად, დაძაბული ბრძოლების შედეგად, თანაც ამ ძნელ გზაზე ჩამოიტოვა ისეთი მრიხანე მეტოქეები, როგორიც არიან არგენტინა და ბოლივია.

აი, ეს გარემოება აძლევს საფუძველს საფეხბურთო პერუს საოცველთაო ზეიმი გამოაცხადოს თავის ქუჩებში. ამ უპრეცედენტო წარმატების მთავარ ფიგურად ერთხმად თვლიან ნაკრების უფროს მწვრთნელს, წარსულში განთქმულ ბრაზილიელ ფეხბურთელს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს დიდის. მას ახლა პატივს სცემენ როგორც ჭეშმარიტად ეროვნულ გმირს, მის სახელს და პორტრეტს ნახავთ ყველგან, სადაც კი საამისო შესაძლებლობა არის: ეურნალ-გაზეთებში, ტელევიზიაში, კინოში, სარეკლამო გამოცემებში.

პერუს ფეხბურთის აღორძინებას სწორედ დიდის მიაწერენ და როცა ამ ქვეყნის ნაკრებმა თავის დედაქალაქ ლიმაში ფრედ ითამაშა არგენტინელებთან — 2:2 (ამ ქულამ გადაწყვიტა პერუელთა ფინალში გასვლა), გულშემატკივრებს დიდი ხელში აყვანილი დაჰყავდათ ლიმის ქუჩებში. ყველგან ერთი სახელი გაისმოდა — დიდი, დიდი, დიდი!

მაგრამ ის დროც გვახსოვს, როცა დიდი ყველაზე უფრო ავადხსენებული კაცი იყო პერუში. 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ერთად მოხვდნენ ბრაზილია, პერუ და ვენესუელა. ამ უკანასკნელმა უარი თქვა თამაშებში მონაწილეობაზე და სამხრეთ ამერიკის ზონის პირველ ჯგუფს მხოლოდ ორი გუნდი შემორჩა — ბრაზილია და პერუ. ლიმაში ამ გუნდებმა ფრედ ითამაშეს (1:1), რიო-დე-უანეიროში კი ბრაზილიელებმა მხოლოდ არანახული დაძაბულობის შემდეგ შეძლეს მატჩის მოგება — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი მაშინ სწორედ დიდიმ გაიტანა, რისთვისაც პერუელ გულშემატკივართა წყევლაც დაიმსახურა.

მაგრამ დრონი იცვლებიან. დიდიმ, როგორც იცით, გამოისყიდა თავისი „დანაშაული“ და პირველი კაციც გახდა პერუში. როგორც იტყვიან, სიძულვილიდან სიყვარულამდე ერთი ნაბიჯია.

• • •

სურათზე: დიდი.

ყოველი მხრიდან

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ

ᲕᲘᲡᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ იგი კარგი მძლეოსანი იყო და არავითარი საზრუნავი არ აწუხებდა. ახლა ჰოლანდიელი ჰენკ ვისერი ბიზნესმენი გახდა, ხოლო ფულს დიდი საზრუნავიც მოჰყვა.

როცა სამყაროულო სპორტს მისდევდა, ვისერის საფულე ზედმეტი გულდენებით არ იყო დამძიმებული. ამიტომ დარბოდა და ხტებოდა იგი მსუბუქად, უზრუნველად. ახლა ვისერს განზრახული აქვს დაიწყოს დიდი საქმე, რომელმაც მილიონები უნდა მოუტანოს.

თავისი გეგმის განხორციელებისთვის ჰენკი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა და კალიფორნიაში დასახლდა; ევროპაში ძნელია საქმეს დიდი გასაქანი მისცე! ამერიკაში იგი მძლეოსნური ცირკის შექმნას აპირებდა. მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთხელ უკვე იყო ასეთი ცირკის შექმნის ცდა და იგი სრული მარცხით დამთავრდა. თავის დროზე ბევრი დაიწერა ამის თაობაზე. მაგრამ სპორტული საქონლის ფაბრიკანტის შეფერხება უკვე აღარაფერს შეეძლო. მან მტკიცედ მოჰკიდა საქმეს ხელი. მართალია, ამერიკელ ვარსკვლავებთან თავიდანვე მარცხი იწვნია, მაგრამ არ დაბნეულა — მოსყიდვა და თაღლითობა დაიწყო. ვისერმა გადაწყვიტა ცირკში ევროპელები მიეწვია, მაგრამ აქაც მარცხი ელოდა. იტალიელმა 400 მეტრზე მორბენალმა ბელომ უარი თქვა დასში გამოსვლაზე. მის მაგალითს მიბაძა ევროპის ჩემპიონმა 1500 მეტრზე რბენაში უეტონმა.

და მაინც, ვისერი სულით არ ეცემოდა. „მატარებელი უკვე გზას ადგას. ახლა მთავარია სისწრაფე“, — განაცხადა მისმა თანამოსაქმემ და იურიდიულმა მრჩეველმა, კალიფორნიის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა ე. ბრაუნმა. მას მხარს უბამს თვით „ახალი საქმის უფროსი“ ვისერიც:

„ახლა ჩვენი ყველაზე რთული ამოცანაა დავარწმუნოთ პრესა, რომ პროფესიულ მძლეოსნობას არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორც კრამერის საჩოგბურთო ცირკს ან სამთოსათხილამურო რევიუს“.

- როგორც ხედავთ, ვისერი ხელს არ იღებს თავის იდეაზე. მით უფრო, რომ ამერიკის მძლეოსნობის მესვეურები სრულ გულგრილობას იჩენენ ამ საკითხში, თუმცა ვისერის გეგმები ეშუქრება არა მარტო ნათი სახეობის საფუძვლებს, არამედ ქვეყნის მთელ სამყაროულო სტატუსსაც.

25 კილომეტრი «დელფინით»

ჩვენს საუკუნეში მარათონული ცურვით ვერავის გააკვირვებ. ლამაზში, ამერიკის დიდი ტბები, ლა-პლატა, ნეაპოლის ყურე უკვე დიდი ხანია იქცნენ ასეულობით მარათონული მოცურავის სარბიელად. მაგრამ იუგოსლავიელი სპორტსმენის რისტო ბიმბილოვსკის მიღწევა მაინც გამორჩევა. საქმე ის არის, რომ იგი არ ღალატობს თავის საყვარელ სტილს — დელფინით ცურვას. დღემდე ბიმბილოვსკის ეკუთვნოდა მსოფლიო რეკორდი ცურვის სიშორეში — 18 კმ.-ახლახან პრესის ტბაზე იუგოსლავიელმა 25 კილომეტრი დაფარა. ასე იშვა კიდევ ერთი რეკორდი!

წინაკა 5 ტური

გუშინწინ საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალში მხოლოდ განვლილ ოთხ ტურში გადადებული და გამოტოვებული პარტიები გათამაშდა.

მ. ჩაგუნავამ (სოხუმი) მოუგო ზ. ბურკაძეს (ქუთაისი), ი. მანაშეროვმა (ხაშური) — პ. მარკოვს (ფოთი), მ. ძნელაძემ (თბილისი) — გ. მუკნიაშვილს (გორი), ტ. ხარლამიდიმ (ქუთაისი) — ნ. ლომაიას (ცხაკაია) და ტ. თავდიდიშვილმა (ქუთაისი) — გ. მთვარელიძეს (გორის რაიონი). ყაიმზე შეთანხმდნენ ა. ყურაშვილი (ბათუმი) — რ. ჩხაიძე (ლანჩხუთი), დ. კვეღლიშვილი (ქარელი) — მ. დოლიძე (მახარაძე), ო. თურქესტანიშვილი (თბილისი) — ა. გიორგაძე (სოხუმი) და დ. ექვთიმიშვილი (საგარეჯო) — ნ. ნაროუშვილი (გარდაბანი).

ამ დღეს შედგა IV ტურის გამოტოვებული შეხვედრა ა. გაგუასა (თბილისი) და ლ. ნეურონოვს (ბათუმი) შორის. გაიმარჯვა ბათუმელმა მოჭადრაკემ.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ ლიდერობა ჯგუფში არიან: ა. რაზოვსკი (ქუთაისი), ნეურონოვი — 4-4 ქულა, ხარლამიდი, ვ. ბადალიანი (მარნეული), გ. ბიბილაშვილი (რუსთავი), გ. კუთარაშვილი (გორის რაიონი), ს. კიკილაშვილი (ლაგოდეხი), დ. გედევანიშვილი (თბილისი) — 3-3, გ. შოგირაძე (ზუგდიდი), ბ. გოგოლაძე (ახალციხე), მანაშეროვი, ლ. ზაიდშერი (სოხუმი), გაგუა, ძნელაძე, ჩაგუნავა — 2,5-2,5.

ᲤᲘᲜᲘᲣᲛᲘ ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ

ვილნიუსში ამას წინათ დამთავრდა მოსწავლეთა სსრ კავშირის საჭადრაკო პირველობა. გოგონათა ტურნირში 24, ჭაბუკთა შეჯიბრებაში კი 32 მოსწავლე მონაწილეობდა.

გოგონებში I-II ადგილები გაიყვეს ნ. ალიოხინამ (ვოროსეჟი) და ი. ლეგეტინამ (ლენინგრადი) — 7-7 ქულა, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელი ალიოხინას ალმოაჩნდა და ჩემპიონობაც მას მიენიჭა.

ჩვენმა გოგონებმა თ. კაჭარავამ (თბილისი) 5,5 ქულით V ადგილი დაიკავა, ხოლო ნ. ფურმანმა (ბათუმი) 4,5 ქულით — XIII ადგილი.

ვაჟებში ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა რიგელმა ი. კიკლანმა — 7 ქულა. თბილისელმა მოსწავლეებმა ა. ხარიტონაშვილმა და გ. ცქიტაშვილმა 4-4 ქულით XVIII-XXII ადგილები გაიყვეს.

ტურნირში უაღრესად მძიმე რეგლამენტი იყო. დღეში ბავშვები 7 საათს თამაშობდნენ. ბუნებრივია, ბევრმა ვერ აიტანა იგი. მაგალითად, ერევნელმა ოსტატმა, 14 წლის ა. პეტროსიანმა, რომელიც ნახევარი ქულით უსწრებდა კიკლანს ბოლო ტურის წინ, გადამწყვეტი შეხვედრა წააგო.

გადაწყდა: გაისად მოსწავლეთა პირველობა წრიული სისტემით ჩატარდება. წლეულს ნოემბერში გაიმართება ამ პირველობის შესარჩევი ნახევარფინალური ტურნირი შვეიცარიული სისტემით (7 ტური).

ო. ალხანიშვილი,
მწვრთნელი.

ᲓᲘᲓᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ

23 იანვარს მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, საზეიმოდ გაიხსნება საბჭოთა ქვეყნისა და იუგოსლავიის მოჭადრაკე ქალთა გუნდების მეგობრული მატჩი.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი მოსკოვში გამგზავრების წინ შეხვდა მსოფლიო ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს.

— საბჭოთა და იუგოსლავიელ მოჭადრაკეებს კეთილი მეგობრობა აკავშირებთ, — თქვა ნონამ. — ტრადიციად იქცა ორი ქვეყნის ვაჟთა გუნდების 1956 წელს დაწყებული მეგობრული შეხვედრები. 1967 წელს იუგოსლავიაში ქალთა გუნდების მატჩიც გაიმართა. პირველი ბრძოლა ყაიმით (6:6) დამთავრდა.

ახლა ვაგრძელებთ ტრადიციას. თითოეულ გუნდში 6 მოჭადრაკე იქნება. მეტოქენი ოთხ-ოთხ პარტიას ითამაშებენ. იუგოსლავიის გუნდს უთავკაცებს საერთაშორისო ოსტატი მ. ლაზარევიჩი. გუნდის მთლიანი შემადგენლობა არ ვიცი. ჩვენი ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია: ნ. გაფრინდაშვილი, ა. კუშნირი, ტ. ზატულოვსკაია, ე. რუბცოვა, ნ. კონოპლიოვა და ვ. კოზლოვსკაია. რა თქმა უნდა, გუნდში სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრიაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი ამჟამად ჰოლანდიაში თამაშობს.

მეგობრობის ორთაბრძოლა 31 იანვრამდე გაგრძელდება.

ᲠᲘᲗ ᲒᲐᲒᲕᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲡ ᲒᲐᲒᲘ?

მსოფლიო ჩემპიონმა გაბრიელე ზაიფერტმა ზედიზედ მეათედ მოიპოვა გდრ-ის უძლიერესი ფიგურისტის წოდება. მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ საიუბილეო ტიტულმა იგი ნაკლებ გაახარა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ნებისმიერი პროგრამით (სხვათა შორის, ერთი წლის წინ ამ პროგრამამ მოუტანა მას მსოფლიოში პირველი ფიგურისტის სახელი) გაბი მისთვის ჩვეულებრივი ბრწყინვალების გარეშე, შებოჭილად სრიალებდა. „არ ვიცი, რა მოხდა, — მხრები აიჩეჩა მან. — ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, სპორტსმენებიც ადამიანები ვართ და შეცდომების უფლება გვაქვს“.

ამ სეზონში გაბი ზაიფერტისთვის ეს პირველი შეჯიბრება იყო და ეს უფერული გამოსვლა „ტრაგედიად არ უნდა მივიღოთ“, — წერს გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ სპორტული მიმომხილველი. „მართალია, ლენინგრადის ევროპულ ჩემპიონატამდე, — განაგრძობს გაზეთი, — ორი კვირა აღარც დარჩა. ამასთან, არც ლიუბლიანის მსოფლიო პირველობაა ცხრა მთას იქით, მაგრამ განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს, რომ გაბი და მისი მზრუნველი მწვრთნელი და დედა იუტა მიულერი დარჩენილ დროს სათანადოდ გამოიყენებენ?

გდრ-ის სპორტის მოყვარულები მარჩიელობენ, აჩვენებს თუ არა გაბი ზაიფერტი ლენინგრადის ასპარეზობაში სრულიად ახალ პროგრამას, რომელსაც იგი დედასთან ერთად ამზადებდა? ბერლინის შეჯიბრებაში გაბის მეტოქე არ ჰყავდა და ჩემპიონმა იქნებ ამიტომაც გადაწყვიტა არ გაეშეღავნებინა თავისი საიდუმლო, რაითა ლენინგრადში ყველა გააოცოს ახალი პროგრამით? ვინ იცის...

გდრ-ის ჩემპიონატს, რომელიც ბერლინის „სპორტული ფორუმის“ საციგურაოზე ტარდებოდა, მოულოდნელობა არ მოჰყოლია: ყველა ოქროს მედალი რესპუბლიკის შარშანდელ ჩემპიონებს ხვდათ.

გ. გურკოვი.

(„კომსომოლსკაია პრავდის“ საკ. კორ.).
ბერლინი, 19 იანვარი.

დ. ᲑᲠᲝᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ ᲡᲔᲐᲜᲡᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ

თბილისის მე-3 მექანიკური ქარხნის კოლექტივი გულთბილად შეხვდა სახელგანთქმულ დიდოსტატ დ. ბრონშტეინს.

მასპინძლებს სტუმარმა გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაზე, ვ. გოგლიძის მემორიალზე, უპასუხა შეკითხვებზე.

ერთდროული თამაშის სეანსში 19 კაცი ჩაება. ზოგიერთ პარტიაში დიდოსტატი მძაფრ წინააღმდეგობას წაწყდა. მან 15 პარტია მოიგო, მაგრამ მაინც დაკარგა 2,5 ქულა. დიდოსტატს მოუგო ხარატმა ვ. ლეჩიშჩინმა, ხოლო ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. ძიძიგურმა, მთავარმა ინჟინერმა ვ. მგალობლიშვილმა და მე-3 საამქროს უფროსმა ე. ეღენტმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს.

ა. ბლაგიძე,
სპორტის ოსტატი.



◆ **პიატიგორსკი**, 21 იანვარი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ჭაბუკთა შორის ასე განაწილდა: უკრაინა, მოსკოვი, რსფსრ, ხოლო გოგონებში — რსფსრ, სომხეთი, მოსკოვი. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობებს: ერთეულთა თანრიგებში — ს. ლეშევმა (ლენინგრადი) და გოარ ხანზრატიანმა (ერევანი); გოგონათა წყვილებში — ვ. ვოლკოვამ (ვოროშილოვგრადი) და ე. ანტონიანმა (სომხეთი), ჭაბუკთა დუეტებში — ლეშევმა და ა. საკიანმა (სომხეთი); შერეულ წყვილებში — რ. მუსტაფინმა (მოსკოვი) და ვ. ვოლკოვამ (ვოროშილოვგრადი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.